



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია



GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 739
13/03/2020

ზუგდიდი

739-02-4-202003131614



მერის ბრძანება

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად
ლონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

- დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თითოეულ თანამშრომელს მიმართოს შესაბამის სამკურნალო დაწესებულებას, უზრუნველყოს უშუალო ხელმძღვანელის ინფორმირება, არ გამოცხადდეს სამსახურში და გაატაროს თვითიზოლაციის წესები თუ:
 - 2020 წლის 26 თებერვლიდან იმყოფებოდა ან ამ ბრძანების გამოცემის შემდეგ გეგმავს ვიზიტს საქართველოს ფარგლებს გარეთ - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;
 - 2020 წლის 26 თებერვლიდან მისი ოჯახის წევრ(ებ)ი იმყოფებოდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ ან გეგმავენ ვიზიტს, რომელთანაც მას კონტაქტი ჰქონდა(თ) /ან ექნება(თ) - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიზღუდოს მოქალაქეთა მიღებები, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა.
- ეთხოვოთ მოქალაქეებს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის კომპუტერში შემავალ საკითხებზე, თუ მატერიალური ფორმით აუცილებლობას არ წარმოადგენს განცხადების და დოკუმენტების წარდგენა, შესაძლებლობის ფარგლებში მიმართვა განახორციელონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: zugdidismeria@gmail.com.
- დროებით შეჩერდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კომისიების და საბჭოს სხდომების გამართვა და სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი თანამშრომლისთვის, მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, 2020 წლის 16 მარტიდან განისაზღვროს მუშაობის დისტანციური რეჟიმი.

6. დისტანციური მუშაობის რეჟიმი არ ეხება: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, მერის პირველ მოადგილეს, მერის მოადგილეს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (სამსახურის უფროსი) და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილეებს.
7. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსებს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით დისტანციურად მუშაობის განრიგის შედგენა ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის შეუფერხებელი მუშაობა.
8. დაევალოს სამსახურის უფროსებს დისტანციურად მუშაობის განრიგის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენა.
9. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე მოთხოვნისთანავე, ვალდებულია დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 1 საათისა) გამოცხადდეს სამსახურში.
10. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი

